სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №11 №16

ბოლნისი 01 ოქტომბერი" 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ :ი/მ გევორქი კაზანჯიანი" (აქ და შემდგომში „მიმწოდებელი") და მეორის მხრივ სოფ. ტანძიის საჯარო სკოლას (შემდგომში „შემსყიდველი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებალი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს /შეასრულოს/ შემდეგი სახის საქონელი/მომსახურეობა:

შეშის ღუმელები,საკვამლე მილები და მუხლები.

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 190 ლარს.

3.სტანდარტები.

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სტანდარტებს.

4. საქონლის მიწოდების ვადა

4.1 „ მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებას დაიწყებს ხელშეკრულებისგაფორმებისთანავე და დაასრულებს 2011 წლის 30 დეკემბერს.

5. შესასყიდი საქონლის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1 შესყიდვის ობიექტის/შესრულებული მომსახურეობის მიღება მოხდება ეტეპობრივად, „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 შესყიდვის საქონელი/გაწეული მომსახურეობა (კონკრეტული ეტაპი) ჩაითვლება სრულად მიღებულად, მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორებები.

6.1 ანგარიშსწორება იწარმოებს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშწორებით (გადარიცხვით).

6.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალიუტაში (ლარებში).

7. მხარეთა ვალდებულებები.

7.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურეობის მიწოდებისათვის/გაწევისათვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" გაწეული სამუშაოს/მომსახურეობისღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურეობის მიწოდება/შესრულება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" საქონლის/მომსახურეობის მიწოდებისას/შესრულებისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხების შესახებ.

8. ფორს-მაჟორი.

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიიებით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მატი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

10.2 თუ მხარები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღეს და წელს.

რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი"

ი/მ გევორქი კაზანჯიანი

ს/კ220101429 „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE41LBO0112164537094000

„შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ.ტანძიის საჯარო სკოლა

ს/კ 225381761 საქართველოს ბანკი

ა/ა3302000146

ბოლნისი სოფ. ტანძია

ი/მ /გევორქი კაზანჯიანი/

დირექტორი: /თ.ბერიანი/